საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №1/46-2007 „27“ [illegible] 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საჩხერის და ჭიათურის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციისა და საჩხერის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული საკადრო საკითხების შესახებ

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 13 თებერვლის №106 ბრძანებულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

I. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54^1 მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად მიემართოს საქართველოს პრეზიდენტს, რათა –

1. მოსამართლე ივანე ყიფიანი გათავისუფლდეს საჩხერის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

2. მოსამართლე ტარიელ ტაბატაძე გათავისუფლდეს ჭიათურის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან

და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

3. მოსამართლე მალხაზ ჩუბინიძე გათავისუფლდეს ჭიათურის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება ჭიათურის რაიონში.

II. მოსამართლეთათვის კონკრეტული შეთავაზება უზრუნველყოს და გადაწყვეტილების შესრულებაზე საერთო კონტროლი განახორციელოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გ. ხიზანიშვილმა.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი